საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთრთოლავი ვერხვი

მთრთოლავი ვერხვი (Populus tremula), ფოთოლმცვივანი ხე ტირიფისებრთა ოჯახის ვერხვის გვარისა. მისი სიმაღლე 25-35 *მ* აღწევს. გადმოკიდებული და ჰაერში მთრთოლვარე ფოთლები აქვს. სინათლის მოყვარულია, არჩევს ტყისპირებს.

გავრცელებულია თითქმის მთელ ევროპასა და აზიაში, ჩვენში იზრდება მთის ტყეებში. დას. საქართველოში უმთავრესად სოჭნარსა და წიფლნარშია შერეული, აღმ. საქართველოში — უმეტესად მეჩხერ წიფლნარსა და ფიჭვნარში. მ. ვ. ქმნის წმინდა კორომებსაც. მისი მერქანი ძალიან რბილი და მსუბუქია.

ა. მაყაშვილი